დოკუმენტის ელექტრონულად ხელმოწერისათვის საჭიროა იქონიოთ: ID ბარათი, ID ბარათის PIN Code, ID ბარათის წამკითხველი მოწყობილობა და კომპიუტერზე დაინსტალირებული პირადობის ელექტრონული მოწმობის უნივერსალური პროგრამა.



მიბრძანდით



ეწვიეთ

სერვისების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდს

https://id.ge/download/#unitool




პირადობის ელექტრონული მოწმობის უნივერსალური პროგრამა



ID ბარათი




ID ბარათის PIN Code




ID ბარათის წამკითხველი

# კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულება

შეუერთეთ ID ბარათის წამკითხველი კომპიუტერს.



მოათავსეთ ID ბარათი ID ბარათის წამკითხველში და ჩართეთ პროგრამა „Georgian ID Card“ (პირადობის ელექტრონული მოწმობის უნივერსალური პროგრამა).



ელექტრონულად ხელმოწერის შესასრულებლად, საჭიროა დავაჭიროთ ღილაკს „ციფრული ხელმოწერა“.



რის შემდეგაც დავინახავთ ასეთ ფანჯარას.




ღილაკზე „არჩევა“ დაჭერის შემდეგ ვტვირთავთ ხელმოსაწერ PDF ფორმატში არსებულ დოკუმენტს და ვაჭერთ ღილაკს ხელმოწერა. შემდეგ პროგრამა შემოგვთავაზებს უკვე ხელმოწერილი ფაილის გახსნას.



ამგვარად შეგვიძლია გადავამოწმოთ, ხელმოწერილი ფაილი. ელექტრონული ხელმოწერის ნახვა შესაძლებელია PDF ფაილის მარცხენა მხარეს სპეციალურ პიქტოგრამაზე დაჭერის შემდეგ, ისე როგორც მითითებულია ქვემოთ სურათზე.




დეტალური ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ ვებგვერდს https://id.ge/ ან მიმართოთ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, https://sda.gov.ge/ ტელ. +995 32 2 40 10 10. მისამართი: წერეთლის გამზირი 67ა, 0154, თბილისი.